საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-08/393

ქ. ბათუმი 23 აგვისტო, 2021 წ.

ბსუ-ს ბაგა - ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ზოგიერთი სტუდენტისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე

,,ბსუ-ს ბაგა - ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ზოგიერთი სტუდენტისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 14 ივლისის №01-08/351 ბრძანებით დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება ბსუ-ს ბაგა - ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის იმ სტუდენტთა მიმართ, რომელთა საგანმანათლებლო პროგრამების ოპტიმალური ვადა ამოიწურა და ვერ შეასრულეს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიზნით აღნიშნული ბრძანება სტუდენტებს გაეგზავნათ ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრირებულ და ელექტრონულ მისამართებზე, თუმცა მათ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის და 66[1]–ე მუხლის მე–6 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის MES 4 21 0000690010 სამსახურებრივი ბარათის ,,ბსუ-ს ბაგა - ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ზოგიერთი სტუდენტისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 14 ივლისის №01-08/351 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეუწყდეთ ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსი ბსუ-ს ბაგა - ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის იმ პროფესიულ სტუდენტებს *(დანართი №1)*, რომელთა საგანმანათლებლო პროგრამების ოპტიმალური ვადა ამოიწურა და ვერ შეასრულეს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები.

2. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, შესაბამის ფაკულტეტს, პროფესიულ სტუდენტებს და განთავსდეს მათ პირად საქმეებში.

3. ბრძანება აისახოს ბსუ-ს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

4. ბრძანება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით, ოფიციალური გაცნობის მიზნით, ინდივიდუალურად ეცნობოს შესაბამის სტუდენტს (ბრძანებაში აღნიშნულ სხვა სტუდენტთა იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით), რომლის უზრუნველყოფა დაევალოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ოფისს და კანცელარიას.

6. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

„ბსუ-ს ბაგა - ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ზოგიერთი სტუდენტისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე"

ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 23 აგვისტოს № 01-08/393 ბრძანების

დანართი №1

ბსუ-ს ბაგა - ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ის პროფესიული სტუდენტები, რომელთა საგანმანათლებლო პროგრამების ოპტიმალური ვადა ამოიწურა და ვერ შეასრულეს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები

№	პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი	პირადი ნომერი	პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის ბრძანების № და თარიღი
1.	ეთერ ქათამაძე		№ 01-09/349; 28.05.2018
2.	გიული გვარიშვილი		№ 01-09/349; 28.05.2018